

სასწეულო, სასტუმროები. მანვე განსაზღვრა მოღვაწეთა რაოდენობა, დაადგინა წინამდებარი, გამიჯნა თანამდებობის პირთა ფუნქციები, გაათავისუფლა მონასტერი ყოველგვარი (სამეფო, საპატრიარქო და სხვ.) გადასახადისაგან.

ტიპიკონიდან ჩანს, რომ მონასტერი მხოლოდ ქართველთათვის ყოფილა განკუთვნილი. იქ შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ბერძნი ყოფილიყო — მწერალი, რომელსაც უნდა ეწარმოებინა მიმოწერა მონასტერსა და ადგილობრივ საერო ხელისუფლებას შორის. ლეონისმასურება მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა აღსრულებულიყო, ბერძნიაც მხოლოდ ქართულის მცოდნე პირებს იღებდნენ.

პეტრიწონის ტიპიკონი საინტერესოა ლიტერატურული თვალსაზრისითაც. აღსანიშნავია, რომ თუმცა ტიპიკონი არაერთ ქართულ მონასტერს ჰქონდა, ზოგი მათგანი დაიკარგა, ზოგი კი ფრაგმენტულად შემორჩა; პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი, რომელიც ქართულად და ბერძნულად დაუმზადებიათ, ერთადერთია, ჩვენამდე თითქმის უკეთებლად რომ მოაღწია.

პეტრიწონის სავანეში არსებობდა სემინარია, სადაც სწავლა და განათლება ქართულად მიმდინარეობდა. პეტრიწონის სემინარიაში ოცი წლის მანძილზე მოღვაწეობდა დიდი ქართველი მოაზროვნე ითანა, რომელსაც მოღვაწეობის ადგილის მიხედვით პეტრიწონელი ან პეტრიწი ეწოდა.

იოანეს განათლება ბიზანტიაში მიუღია — როგორც ფიქრობენ, მანგანის აკადემიაში. იგი აქტიური მონაწილე იყო იმ ფილოსოფიური მოძრაობისა, რომელიც ბიზანტიაში გაიშალა მიქაელ პსელოსისა და იოანე იტალიის ხელმძღვანელობით. როცა ეს უკანასკნელი გაასამართლეს და გააძევეს (1083 წ.), მისი თანამოაზრები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და იძულებული იყვნენ, დედაქალაქი დაეტოვებინათ. როგორც ჩანს, იოანემაც მაშინ დატოვა კონსტანტინოპოლი და პეტრიწონის ახლადგაარსებულ სავანეს მცაშურა. აქ მან სათავე დაუდო ფილოსოფიურ-ლიტერატურულ სკოლას, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული ფილოსოფიის განვითარებას, ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შემუშავებას. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავდა, „ამ სკოლამ შექმნა მთელი ეპოქა ჩვენს მწერლობაში, მეტად ნაყოფიერი და საყურადღებო“.

XII ს. დამდეგს იოანეს პეტრიწონის დატოვება მოუხდა. მან სა-
222

მშობლოს მოაშურა და გელათის აკადემიაში განაგრძო შემოქმედებითი საქმიანობა.

გრიგოლ ბაქურიანის 1086 წ. დაიღუპა პაჭანიერებთან ბრძოლაში. შემდგომში ერთხანს პეტრიწონის მონასტერი მარიამ დედოფლის — ბაგრატ IV ასულისა და ბიზანტიის იმპერატორის მეუღლის საკუთრება იყო. მას არ აკლდა ქართველ მეფეთა დახმარება. 1204 წ. პეტრიწონი ჯვაროსნებმა დაარბიეს. XIV ს. დასაწყისში იქ კიდევ მკიდრობდნენ ქართველები.

ამავე ხანაში ქართული სავანე არსებულ კუნძულ კვიპროსზე. ეს იყო ქართული მონასტერი ჟალი თუ დალია, რომელიც განუახლებია თამარს: „კუალად კვპრეს დალია შეაშე და უყიდია შესავალი და აღაშენა მონასტერი და შეამკო ყოვლითა წესითა პატიოსნისა მონასტრისა“. — მოგვითხრობს „ისტორიანი და აზმანი შარავანდელანი“-ს აეტორი.

გრძელდებოდა ქართველთა კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა სინას მთაზე. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა იქ ააგო ეკლესია-სენაკები, გაუგზავნა მათ უხვი შესაწირავი და საეკლესიო წიგნები. სინას მთის ქართულ სავანებს გულუხვად ეხმარებოდა თამარიც.

სამინასტრო ცენტრების გარდა, ქართველები ჩანა ბიზანტიის სასწავლო დაწესებულებებშიც. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია კონსტანტინე IX მონომახოსის (1042—1055 წწ.) მიერ კონსტანტინოპოლში დაარსებული მანგანის აკადემია, სადაც უსწავლიათ ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს — იოანე პეტრიწი, ეფრემ ციონის, არსენ იყალთოლელს და სხვებს; შემდგრძელი მათ ამ უმაღლესი სასწავლებლის ტრადიციები დანერგეს ქართულ სავანეებში (გელათი, იყალთო, შავი მთა).

2. საისტორიო მთალობა

XI—XIII სს. ქართული საისტორიო აზროვნების აღმავლობის ხანაა. თამარის ისტორიკოსის თხზულებაში საისტორიო ნაწარმოების აღსანიშნავად პირველად ვხვდებით ტერმინს „ისტორია“. იგივე ავტორს შემოაქვს ტერმინი „ისტორიათა-აღმწერლობა“.

აღნიშნული პერიოდის ისტორიკოსები ფართოდ სარგებლობდნენ სხვადასხვა სახის საისტორიო წყაროებით — როგორც წერილობითი

(ქართველ, ბიზანტიურ, სომებ, მუსლიმ ავტორთა თხზულებები), ისე ნივთიერი და ზეპირი მასალებით, თანაც წყაროთა ცნობებს საკმაო სიფრთხილით ეკიდებოდნენ.

XI—XIII სს. საისტორიო მწერლობა, ძირითადად, ორი უანრის სახით წარმოგვიდგება: ბიოგრაფიულ-ისტორიული და პოლიტიკურ-რიტორიკული. ბიოგრაფიულ-ისტორიული უანრის თხზულებათა ავტორებიდან უნდა დავასახელოთ გიორგი ათონელი, გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი), ეფრემ მცირე.

გიორგი ათონელი (1009—1065 წწ.) ათონის სალიტერატურო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მის კალამს ეკუთვნის „ცხოვრება იოვანესი და ეფთემესი“ — ქართული მწერლობის კლასიკური ძეგლი, რომელშიც აღწერილია ათონის ივერთა მონასტრის დამარსებელთა მოლვაწებია, მონასტრის აშენების ისტორია, საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა XI ს. პირველ ნახევარში, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება.

გიორგი ათონელის თხზულებაში გამოყენებულია წერილობითი, ნივთიერი და ზეპირი წყაროები. საყურადღებო ავტორის დამოკიდებულებაც გამოყენებული წყაროებისადმი, რომელთაც იგი ხშირად ასახელებს. „ჭეშმარიტ“ და „უტუუველ“ მასალად მას საბუთის დედანი (და არა მისი პირი) მიაჩნდა. გიორგი ათონელმა, ისევე როგორც ამ პერიოდის სხვა ისტორიკოსებმა, კარგად იცოდა, რომ ამბის თვითმხილველისა და თანამედროვის ცნობა შეიძლებოდა შეთხული ან გაზვანებული ყოფილიყო, ამიტომ საჭიროდ მიაჩნდა მათი სანდონის შემოწმება. ზეპირი წყაროს გამოყენებისას ისტორიკოსი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო მთხოობელის კეთილსინდასიერებაში — „რომელიც იგი უცხო იყენეს ყველითურთ ტყუვილსაგან“. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი ათონელის წყალობით საისტორიო თხზულებათა მეთოდოლოგიური მხარე იძღვნად განვითარებული და დამთავრებული იყო უკვე, რომ თანამედროვე მკაცრ სამეცნიერო მოთხოვნილებასაც კი დააქმაყოფილებდა“.

ათონის სკოლის წარმომადგენელია გიორგი მცირეც (ხუცესმონაზონი), გიორგი ათონელის თანამედროვე — მისი „ოუალით მხილველი და ხელით მსახური მისი და ყურით მსმენელი სიტყუათა წმიდან კა პირისა მისისას“. 1066—1068 წწ. გიორგის შავმთელის დავალებით,

მან დაწერა „ცხოვრება და მოქალაქეობად წმიდასა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისაა“. იგი მოვითხოობს გიორგი ათონელის დამსახურებაზე, მის მოღვაწეობაზე შავ მთასა და ათონის ივერთა მონასტერში, ბრძოლაზე ქართული ეკლესის ავტოკეფალიის შენარჩუნებისათვის. თხზულება მდიდარ მასალას ემყარება. აღსანიშნავია, რომ ავტორი იყენებს ანალოგის მეთოდს: ამა თუ იმ ფაქტსა თუ მოვლენას ადარებს წარსულისა და უცხო ქვეყნის მაგალიოებს და მხოლოდ შემდეგ იძლევა დასკვნას.

ეფრემ მცირე (XI ს. მეორე ნახევარი) მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საისტორიო თხზულება „უწყება მიზეზისა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“. ქართველთა მოქცევის საკითხის გარკვევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროსთან ურთიერთობისა და ქართული ეკლესის ავტოკეფალიის თვალსაზრისით. მასალების ძიებამ მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტი დაგროვა. პირველ რიგში, ეს ითქმის ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობაზე. საღვთისმეტყველო პაექტობებში აქტიურად მონაწილე ქართველები კარგად გრძნობდნენ ამ წინააღმდეგობის მოღვარების აუცილებლობას. ეფრემ მცირეც ცდილობს ნათელი მოპტინოს ქართლის გაქრისტიანების საკითხს. მან შეკრიბა და შესანიშნავად გამოიყენა ყველა წყარო, სადაც ქართველთა მოქცევის შესახებ რამე ცნობა იყო დაცული, მათ შორის, პირველ რიგში, ბერძნული წყაროები, რომელიც ქართული ეკლესის ავტოკეფალიის უფლების სასარგებლობ ლაპარაკობდნენ. ნინოს მიერ ქართველთა ხელმეორე მოქცევის საჭიროება მან ანალოგის მეთოდის მოშველიებით ასენა: „ამათ წმიდათა სამოციქულონ მოძღურებისა თესლთა ანეულინი მრავალუამ დაიძყრნა დუარმლმან მეერბეთამან, არა თუ ჩუენ შორის, არამედ თუთ მათ ბერძნეთა შორის“, — აღნიშნავს ეფრემ მცირე. მაშასადამე, არა მარტო ქართველებში, არამედ სხვაგანაც ზოგჯერ თავს იჩინდა წარმართობისაკენ მიღრეკილება და საჭირო ზდებოდა ქრისტიანობის ხელახლა ქადაგება.

საუკრადღებოა ეფრემ მცირეს მიერ გამოყენებული წყაროების დამოწმება-მითითების წესი: იგი ასახელებს წიგნის სათაურს, ავტორის სახელსა და დამოწმებულ ადგილს.

საქართველოს ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას ეფრემ მცირე 15 გ. ლოროქიფანიძე, ნ. ჩიქოვანი

ხშირად იყნებს სხვა ქვეყნების ისტორიასთან შედარების, ანალოგი-ის მეთოდს და ამის საფუძველზე გამოაქვს სათანადო დასკვნები. სა-კითხები თანამიმდევრობითაა დაღაგებული და ერთობეობილან გამო-მცინარეობს. გვხვდება ისტორიული კრიტიკის ელემენტები.

XI ს. მეორე ნახევრიდან ჩნდება ვრცელი, განმაზოგადებელი ხა-სიათის ნაშრომები, რომლებშიც მოთხოვთბილია საქართველოს ისტო-რია უძველესი დროიდან.

ერთ-ერთი მათვანია XI ს. ისტორიკოსის ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთა განთა მამათა და ნა-თესავთა“ (მკელევართა ნაწილი — 6. მარი, პ. ინგოროვა — მას VIII საუკუნის ძეგლად მიიჩნევს). საქართველოს ისტორიის თხრო-ბას ავტორი ბიბლიური დროიდან იწყებს და V საუკუნემდე მოჰყავს. ეს ერთადერთი ავტორია, რომელიც ქართველთა წარმომავლობისა და უძველესი ისტორიის საკითხების გაშუქებას ცდილობს. იგი ეხება აგრეთვე ქართული ენისა და მწიგნობრობის გაჩენის, ქართული სა-ხელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესებს. ხაზგასმითაა აღ-ნიშნული ქართველ ტომთა საერთო წარმომავლობა და მთლიანად კავკასიული ხალხების ისტორიული ნათესაობა.

ლეონტი მროველის თხზულების მიმართ დიდხანს ზედმეტად კრი-ტიკული დამოკიდებულება ბატონობდა. მისი ცნობები, განსაკუთრე-ბით უძველესი პერიოდის შესახებ, ზღაპრულად მიაჩნდათ. მას შემ-დეგ, რაც მცხეთა-არაბის არქეოლოგიურმა შესწავლამ ზოგი ცნო-ბის სისწორე დაადასტურა, ეს დამოკიდებულება რამდენადმე შეი-ცვალა. წმინდა ისტორიული მონაცემების გარდა, ლეონტი მროვე-ლის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ საყურადღებო მასალას იძლევ-ა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, ქართულ ფეოდა-ლურ სამთავროთა საზღვრების, ცალკეული გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაციისათვის. როგორც ჩანს, ლეონტი მროველს ხელთ პერიოდა ძველი ქართული წყაროები, რომლებიც დროთა განმავლობაში დაკარგულა.

ქრონოლოგიურად ლეონტი მროველის თხზულებას აგრძელებს XI ს. ისტორიკოსის ჯუანშერის „ცხოვრება და მოქალაქეობა. ვატტანგ გორგასლისა“, რომელიც გადმოგვცემს ქართველთა ისტორიას V სა-უკუნის შეა წლებიდან VIII ს. 40—50-იან წლებამდე. იგი წარმო-დგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ რა ცნობები პერიოდა XI ს. გა-

ნათლებულ ქართველებს ვახტანგ გორგასლის მეფობასა და მისი მო-დვაწეობის პერიოდზე. მართალია, ჯუანშერის თხზულების ბევრი ადგილი ზღაპრული და მეტისმეტად ლეგენდარულია, და მთლიანად თხზულებაც, როგორც ივ. ჯვახიშვილი აღნიშნავდა, „ზღაპარს უფრო გავს, ვიდრე ისტორიას, საგმირო სახალხო ნაწარმოებს უფრო, ვი-დრე უტყუარს და სანდო საბუთს“, მანც იგი ძირითადი წყაროა ვა-ხტანგ გორგასლის მეფობისა და მომენტის ხანის ისტორიის შესას-წავლად. მასში საყურადღებო ცნობებია დაცული, აგრეთვე ირან-ბი-ზანტიის ურთიერთობის, ქართლის ერისმთავართა ხელისუფლების ხასიათისა და მისი გავრცელების არეალის, ქართლის საზღვრების შესახებ.

ჯუანშერს მრავალი საისტორიო წყაროთი უსარგებლია, რომე-ლთა ნაწილს იგი ასახელებს: „მოქცევად ქართლისა“, სუმბატ და-კითის მის ქრონიკა, ე. წ. „სპარსთა ცხოვრება“, ქართული აგიო-გრაფიული ძეგლები და სხვა.

XI საუკუნისაა სუმბატ დავითის მის „ცხოვრება და უწყება ბა-გრატიონიანთა“. თავად ავტორი სამეფო დინასტიის წარმომადგენე-ლია. მას მიზნად დაუსახავს ბაგრატიონთა ვინაობისა და წარმომა-კლობის გარკვევა და შეუდგენია ტაო-კლარჯეთის სამთავრო სახ-ლის — ბაგრატიონთა სახლის ისტორია და გენეალოგია; ამ სახლმა სათავე დაუდო ერთიანი საქართველოს სამეფო დინასტიას.

ბაგრატიონთა გენეალოგიას სუმბატ დავითის მე ბიბლიის მიხე-დვით გაღმოსცემს და ამტკიცებს, რომ ბაგრატიონები ისრაელის სა-ხელგანთქმული მეფის — დავითის შთამომავალი არიან, ანუ, რო-გორც ისინი საკუთარ თავს უწოდებდნენ, იქისან-დავითიან-სოლო-მინიანი. სწორედ ასე იწყებოდა ბაგრატიონთა ტიტულატურა საქა-რთოებლის ერთიანი სამეფოს არსებობის ხანაში. თქმულება ბაგრა-ტიონთა ბიბლიური წინაპრების შესახებ საქართველოში ჯერ კიდევ 1 X საუკუნეში გავრცელდა და მალე ცნობილი გახდა მეცნობელ ქვე-ყენებშიც. 952 წ. მას თავის თხზულებაში იმერების ბიზანტიის იმ-პერიატორი კონსტანტინე პორფირიელი.

სუმბატ დავითის მე აღნიშნავს, ქართველ და სომეს ბაგრატიონთა საერთო წარმომავლობას, რაც აღიარებულად ითვლება თანამედროვე საისტორიო მეცნიერებაში. ს. ჯანაშიას აზრით, თხზულებაში დაცუ-ლია რადც გამომახილი ისტორიული კავშირისა სპერსა (ბაგრატი-

ონთა მამული) და ქართლს შორის. მკვლევართა აზრით, ბაგრატიონ-თა სახლი წარმოშობით სპერიდან ყოფილა.

სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში თხრობა ბაგრატ IV მეფობამდეა მიყვანილი.

ამავე პერიოდში იქმნება პოლიტიკურ-რიტორიკული ქანრის საისტორიო თხზულებები: „მატიანე ქართლისაა“, დავით აღმაშენებლის ისტორია, თამარის ორი ისტორიკოსის თხზულებები.

XI ს. უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისაა“ მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას VIII საუკუნიდან XI ს. 80-იან წლებამდე. მასში ბევრი ისეთი ცნობაა დაცული, რომლებიც სხვაგან არ მოითვალიერა. თანამიმდევრულადაა აღწერილი ცალკეული ფეოდალური სამთავროების გაერთიანების პროცესი.

დავითის ისტორიკოსის სახელი უცნობია. იგი მეცესთან და სამეფო კართან დაახლოებული პირია. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითის“ დაწერილია 1123—1126 წლებში. იგი უმნიშვნელოვანესი წყარო XI—XII სს. საქართველოს ისტორიის შესასწავლად. თხზულებაში დაწვრილებითაა გადმოცემული დავითის მოღვაწეობა, შემკობილია მისი პიროვნება. თხზულების დასაწყისი, საღაც გიორგი II მეფობაზეა ლაპარაკი, ნაწილობრივ ავსებს „მატიანე ქართლისაა“—ს დასასრულს, რომელშიც იგივე პერიოდია აღწერილი. ავტორი დიდ ერუდიციას ამჟღვნებს, კარგად იცნობს და იყენებს საბერძნეთის, ბიზანტიის, ირანის ისტორიასა და ლიტერატურას. ხშირად მიმართავს შედარებით მეთოდს. ნაწარმოები მშენებული ენითაა დაწერილი.

თამარის ეპოქის საისტორიო ნაშრომებიდან ჩვენამდე ორმა მოაღწია: ერთი მათგანი ცნობილია სახელწოდებით „ისტორიანი და აზმანი შარაგანდედთანი“, მეორეა ბასილი ეზოსმომძვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“.

პირველი თხზულების სახელწოდება ცხადყოფს მის შინაარსსა და ხასიათს: ეს არის ისტორიაც და „აზმაც“ — ქება, შესხმა, ხოტბა. დასაწყისში მოკლედ გადმოცემულია გოორგი III მეფობის ისტორია, ძირითადი ნაწილი კი თამარის მეფობის აღწერას ეთმობა. განსაკუთრებით დაწვრილებითაა აღწერილი ომები და სამხედრო ლაშქრობები. საყურადღებო ცნობებია დაცული შინაპოლიტიკური ისტორიისთვისაც. გიორგიც და თამარიც შესანიშნავი ეპითეტებით არიან

შემქული, განსაკუთრებით თამარი, რომელსაც ავტორი სამების მეოთხე წევრისაც კი უწოდებს.

„ისტორიანი და აზმანი...“—ს ავტორი ღრმად განათლებული პიროვნებაა. საქართველოს ისტორიისა და კულტურის გარდა, იგი კარგად იცნობს დასავლურ (ელინურ-ბიზანტიურ, ქრისტიანულ) და აღმოსავლურ (არაბულ-ირანულ, მუსლიმურ) სამყაროს, სასულიერო და საერო (მათ შორის, ანტიურ) ლიტერატურას, სარგებლობს პომეროსისა და ბლუგარქეს თხზულებებით. კ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ ეს ნაწარმოები „თავისი მაღალფარდოვანი, მოქარგულ-მოვირისტებული, მხატვრულ-პოეტური ენით, თავისი შედარებებით, მეტაფორებით, ტრაპებითა და ფიგურებით, რომლებითაც თხზულება თავიდან ბოლომდე სავსეა, სცილდება ისტორიული ნაწარმოების ფარგლებს და პოეტური შემოქმედების სფეროში გადადის“.

თამარის მეორე ისტორიკოსი ბასილი ეზოსმომძვრი უნდა იყოს, რომლის სახელი მისსავე თხზულებაში ისსენიება. ნაწარმოების სახელწოდება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“. იგი მრავალი საყურადღებო ცნობით აქვებს ზემოთ დასავლებულ ნაშრომს. თუ „ისტორიანი და აზმანი“—ს ავტორი ძირითადად საგარეო პოლიტიკის საკითხებით ინტერესდება, ბასილი კარგად ერკვევა სამეფო კარისა და მეფის პირად ცხოვრებაში. იგი აანალიზებს მოტანილ ფაქტებს, ზოგჯერ კინტიკულად აფასებს ამი თუ იმ სახელმწიფო მოღვაწის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. მისი თხრობის სტილი უფრო საღაა, რიტორიკით ნაკლებად დატვირთული. ბასილი ეზოსმომძვრის თხზულება ერთ-ერთი საუკეთესო საისტორიო ნაწარმოებია.

საისტორიო აზროვნების განვითარების მაღალ დონეს XI—XII სს. საქართველოში ადასტურებს „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედეგენა. „ქართლის ცხოვრება“ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორთა მიერ დაწერილი თხზულებების კრებულია. იგი თანადანობით, „უამითო-უამად“ დგებოდა და საუკუნეთა მანძილზე ხდებოდა მისი შესება-რედაქტირება. ეს არ არის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საისტორიო ნაწარმოებთა მექანიკური კრებული, ეს თხზულებები ერთმანეთთან ორგანულადაა დაკავშირებული და ქვეყნისა და ხალხის ისტორიას გადმოგვცემს.

როგორც მკვლევრები მიიჩნევენ, კრებული პირველად XII ს-ში შეუდეგნიათ და მასში შეუტანიათ თხზულებები, რომლებიც მოვითხოვენ ქართველი ხალხის ისტორიას უძველესი დროიდან VIII სა-

უკუნიერება. ესენია: ლომინტი მროველის ზემოთ დასახელებული თხზულება და მისივე „წამება წმიდისა და დიდებულის მოწამისა არჩილისა“, ჯუანშერის „ცხოვრება და მოქალაქეობა ვაკტანგ გორგასლისა“. XIII ს. დასაწყისში კრებულს დაემატა VIII—XII სს. ისტორიის შეცველი თხზულებები: უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისად“ და დავით აღმაშენებლის მემატიანის თხზულება, უფრო გვიან კი — სუმბატ დავითის ძის „ბაგრატიონთა ქრონიკა“. საბოლოოდ, XVI საუკუნეში კრებულში შეიტანეს XII—XIV სს. ისტორიის მოცველი მასალები — „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“ და უმთააღმწერლის „მონღლოთა დროინდელი ისტორია“. ამით დასრულდა „ქართლის ცხოვრების“ ძველი ციკლი, რომელიც გავრცელებული იყო ვაკტანგ VI დროში.

შუა საუკუნეების საქართველოში „ქართლის ცხოვრება“ ასრულებდა როგორც საკითხავი წიგნის, ასევე მშობლიური ისტორიის სახელმძღვანელოს ფუნქციას.

3. ମୁଖ୍ୟାନ୍ତରିକା ॥

XI—XIII სს. ქართული მწერლობა სასულიერო და საერო-მხატვრული ლიტერატურის სახით წარმოგვიაღება. აქედან პირველს განვითარების ხანგრძლივი გზა ჰქონდა განვლილი, მეორე კი მხოლოდ მაშინ ყალიბდებოდა.

ქართველი მწერლები კარგად იცნობდნენ დასავლურ (ბიზანტიურ) და აღმოსავლურ (არაბულ-სპარსულ) ლიტერატურას, ფლობდნენ ბერძნულ, არაბულ და სპარსულ ენებს, თარგმნიდნენ, ქმნიდნენ ორიკინალურ ნაწარმოებებს.

XI საუკუნეში, ბიზანტიისთან კულტურული მეტოქეობის კვალობაზე, ჩნდება მისწრაფება — ქართულ ენაზე გაღმოიღონ მთელი საქრისტიანო ლიტერატურა. ბერძნულიდან ითარგმნება არა მარტო ქრისტიანული პერიოდის ყველა თვალსაჩინო ავტორი, არამედ ანტიკური მწერლებიც.

სასულიერო ღიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებით ღიდი წვლილი შეიტანეს გიორგი ათონელმა (მთაწმინდელმა), ეფრემ მცი-რემ, არსენ იყალთოელმა. მათ გაამდიდრეს ეს ღიტერატურა უწინ-შენილოვანების ნათარებითი და ორიგინალური თხზულებებით.

გიორგი ათონელის მთარგმნელობით საქმიანობაზე ზემოთ უკვე
ცვერნდა საუბარი. როგორც ვთქვით, გიორგი ათონელმა თარგმა-
როგორც ქართულად მანამდე არარსებული ნაწარმოებები, ასევე გა-
ასრულა დაუმთავრებელი თარგმანები და სრულყო ადრე შესრულე-
ბულნი. „მოსაგონებლადაცა დიდ არს, — შენიშნავს გიორგი მცი-
რე, — ვითარმცა ესოდენნი წიგნი ერთმან კაცმან მზანი თარგმა-
ნი კხოვრებასა შინა თუსია აღწერნა“.

გიორგი მთაწმინდელმა დაგვიტოვა 60-ზე მეტი სქელტანიანი ნათარგმნი შრომა ღვთისმეტყველების ყველა დარგში, მათ შორის „დავითინი“, „სახარება-ოთხთავი“ და „წიგნი სამოციულოო“. ბიბლიის თარგმნით გიორგი მთაწმინდელმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ახალი ქართული ენის განვითარება.

გიორგი ათონელის პოეტურ ნიჭის ადასტურებს მის მიერ თარგმანი პიმნოვრაფიის ნიმუშები, აგრეთვე აკროსტიხის სახით დაწერილი ორიგინალური ლირიკული ლექსები.

ეფრემ მცირეს მრავალმხრივი ლიტერატურული მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მთარგმნელობითი საქმიანობა. ეფრემმა შეიმუშავა თარგმნის თავისებური თეორია: იგი საჭიროდ თვლიდა, რომ თარგმანი ყოფილიყო ზუსტი, უშუალოდ ორიგინალი-დან შესრულებული, ყოველგვარი დამატებებისა და შემოკლებების გარეშე. ამავე დროს, მას კარგად ესმოდა, რომ ყოველ ენას თავისი სპეციფიკა აქვს და, ამდენად, სიტყვასიტყვით თარგმა შეუძლებელია—ასეთ შემთხვევაში ტექსტი კარგავს თავისებურ სახეს.

როგორც წესი, უფრემი თარგმნიდა თხზულებებს, რომლებიც აღ-
რე არ იყო თარგმნილი, ხოლო თუ თარგმანი ძალზე ამასინჯვებდა
ორიგინალს, იგი ასწორებდა თარგმანს ნაშრომის მინდვრებზე სათანა-
დო შესწორებებისა და ასნა-განმარტების შეტანით. ამ საკითხისა-
დმი მისეულ მიღომას ნათელყოფს უფრემის წერილი თავისი მასწა-
ლებლის — კვირივე ბერისადმი. ამ წერილით ეფრემი პასუხობს
მათ, ვინც საყველურობდა მას ექვთიმე ათონელის მიერ თავის დრო-
ზე თარგმნილი გრიგოლ ღვთისმეტყველის „სიტყუანის“ ხელმეორედ
თარგმნის გამო: ექვთიმემ გვერდი აუარა ზოგიერთ ადგილს „სი-
ტყუანიდან“, — წერს ეფრემი, — რადგან იგი რბით კვებავდა მაშინ
ჯერ კიდევ ჩივილ ქართველ ერს, რომელიც დღეს, მის მიერ აღორძი-
ნებული, უკვე მაგარ საკვებს თხოვლობს. წმინდა და მაგარ ღვინოს,
რომელსაც შეიცავდა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულება, ექვთიმე

აზავებდა წყლით, ავრცობდა მოძღვრის ნამუშავევს, რადგან ერთ მაშინ უსუსური იყო. ახლა შესაძლებელი გახდა მთარგმნელის დამატებათა ამოღება. ასე ასაბუთებს ეფრემ მცირე თავის მიერ გაწეული შრომის საჭიროებას.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ეფრემ მცირემდე სასვენი ნიშნები თითქმის არ იხმარებოდა, მან კი ახალი პუნქტუაცია შემოიღო: ერთი წერტილი, სამი წერტილი, ექვსი წერტილი. ეს საგრძნობლად აადვილებდა ტექსტის გაგებას.

ეფრემ მცირეს ნათარგმნი შრომების რაოდენობა 70-ს აღწევს. ისინი მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. ორიგინალური შრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „მოსახსენებელი მცირე სკმეონისთვის ლოდოთეტისა“, რომელიც ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი საკითხის გარევევის შესაძლებლობას იძლევა. ამდენად, მისი მნიშვნელობა სცილდება ძველი ქართული მწერლობის ფარგლებს.

ეფრემ მცირეს მოწაფემ არსენ იყალთოლმა (გარდაიცვალა დაახლ. 1125 წ.) მოღვაწეობა ბიზანტიის ქართულ კოლონიებში დაიწყო, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, როგორც ფიქრობენ, იგი სათავეში ჩაუდგა იყალთოს აკადემიას. მოღვაწეობდა შიომღვიმეშიც. არსენი ცნობილია როგორც გიორგი ამარტოლის „ქრისტიანუს“, პატრიარქ ფოტის „დიდი სჯულისანონის“ და, რაც მთავარია, ღოგმატიკურ-პოლემიკური კრებულის — „დოგმატიკონის“ მთარგმნელი. მასვე ეკუთვნის ნათარგმნი და ორგვინალური პოეტური ნაწარმოებებიც. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ეპიტაფია დავით აღმაშენებლისა“, რომელიც ფართოდაა ცნობილი:

„ეს ნაჭარმავევს მეუნი თორმეტი პურად დამესხნეს,
თურქი, სპარსი და არანი საზღვარს გარეთ გამესხნეს,
თუენი ამერთა წყალთაგან იმერთ წყალთ შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა ხელი გულზედა დამესხნეს“.

XI—XII სს. ქართული ლიტერატურისა და, მთლიანად, კულტურის მრავალფეროვნებისა და ღირსების წარმოდგენა შეუძლებელია დავით აღმაშენებლის გარეშე, რომელმაც ჩვენს ისტორიაში ადგილი დაიმკვიდრა არა მხოლოდ როგორც დიდებულმა მეფემ და სწორუპოვარმა სარდალმა, არამედ როგორც დიდმა პუმანისტმა და პოეტმა.

დავით აღმაშენებელს როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში იცნობდნენ როგორც უძლიერეს ხელმწიფეს, რომელიც უზენაესმა მხსნელად მოუკლინა მთელს საქართვიანოს. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე (იგი 52 წლისა აღესრულა), ხმალთან ერთად, მეფის განუყრელი თანამგზავრი ყოფილა წიგნი, რომელიც თან უტარებია დავითს ბრძოლისა თუ ნადირობის უამს. დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება ქართული კულტურის კერებზე ზრუნვა საქართველოსა და უცხოეთში.

ძველმა ქართულმა ხელნაწერებმა შემოგვინახა დიდი მეფის პოეტური აღსარება — „გაღობანი სინანულისანი“, პიმნოგრაფიის თავისებური ძეგლი, რომელიც ფილოსოფიური ლირიკის უანრს განეკუთვნება.

„გაღობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა შინაარსითა და მაღალ-მხატვრული ფორმით იმ პერიოდის რელიგიურ და ესთეტიკურ მრწამს გამოხატავს. მისი მთავარი თემაა სინანულის მოტივი. ადამიანის დაცემის ბიბლიური ისტორიის ფონზე დახასიათებულია დავითის პირველი ცოდვები. მეფის დაღადი თავის ცოდვილ ბუნებასა და შინაგან კათარზისზე, მაცხოვრისა და ლვთისმშობლისადმი მიმართული, ზოგადსაყაცობრიო ტკიფილამდეა ამაღლებული. საგალობლის თითოეული ფრაზა ძველი და ახალი აღმოჩენის გადმოცემებთან და ამა თუ იმ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ პრობლემასთანაა დაკავშირებული.

ქართული პიმნოგრაფიული პოეზია ბრწყინვალე ნიმუშებით გაამდიღრა დავით აღმაშენებლის ძემ — დემეტრე I-მა (1125—1156 წწ.). მისი საგალობლებიდან საყოველთაოდ ცნობილია „შენ ხარ ვენახი“ — ლვთისმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკო.

XI ს. მიწურული და XII ს. დასაწყისი ქართული საერო მხატვრული მწერლობის აღმოცენების ხანად ითვლება. იმ ხანის ძეგლების უდიდესი ნაწილი განაღვეულია, თუმცა ისიც, რაც შემოვრნა, წარმოდგენას გვიქმნის ქართული მხატვრული მწერლობის მრავალფეროვნებასა და მაღალ დონეზე. პროზაული ნაწარმოებებიდან ესენია „ამირანდარეჯანიანი“ და „ვისრამიანი“, პოეზიიდან — სახოტბო თხზულებები „ომარიანი“, „აბდულმესიანი“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

„ამირანდარეჯანიანი“ XII საუკუნეში შექმნილი საგმირო-საფა-ლუნო, რაინდული რომანია. მის ავტორად მიჩნეულია მოსე ხონე-ლი. XIII ს. დამდეგამდე რომანი ფრიად პოპულარული გამხდარა; მის პერსონაჟებს ისსენიებენ ჩახრუხაძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორი. ფორმით ნაწარმოები ეპიკური მოთხოვ-ბაა, რომელიც გადმოგვცემს ამირან დარეჯანის ძისა და მის თანამე-ბრძოლთა თავგადასავალს. იგი შედგება ცალკეული, ერთმანეთისა-გან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ნოველებისაგან, რომლებიც მო-გვითხრობენ ამა თუ იმ რაინდის საგმირო ამბებს. ნაწარმოების მი-ზანია იდეალური გმირის, ჭეშმარიტი რაინდის დახატვა.

„ვისრამიანი“ სამიჯნურო-ფსიქოლოგიური რომანია, რომლის ძი-რითადი თემაა სიყვარულის პრობლემა. იგი პროზაული თარგმანია შუა საუკუნეების სპარსულ მწერლობაში ცნობილი რომანისა „ვის ო რამინ“. ეს ამბავი თავდაპირველად დაწერილია პროზაული ფორმით ფამლაურ (შუა სპარსულ) ენაზე, არაუგვიანეს VII საუკუნისა. XI ს. შუა წლებში „ვისრამიანი“ ლექსად გაუწყვიათ ახალ სპარსულ ენა-ზე, XII საუკუნეში კი აქედან ქართულად, ისევ პროზად გადმოუღია სარგის თომოველს. „ვისრამიანის“ პოპულარობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მისი გმირები მოხსენიებული არიან ქართული კლასიკუ-რი მწერლობის თითქმის ყველა ძეგლში („თამარიანი“, „აბდულმე-სიანი“, „ვეფხისტყაოსანი“), აგრეთვე საისტორიო ნაშრომში „ის-ტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. შეატვრული დირსებთ „ვი-სრამიანი ქართული პროზანივალე ძეგლთავანია. შესა-ნიშნავადაა დახატული მოქმედი პირები, ოსტატურად ვითარდება მო-ქმედება. ენა მაღალხატვრულია, მდიდარია მეტაფორებით, შედარე-ბებით, ეპითეტებით. ესაა ორნამენტული პროზის ტიპური ნიმუში. ყოველივე ამის გამო „ვისრამიანი“ ქართული ორიგინალური მწერ-ლობის ძეგლადაა მიჩნეული. ამავე დროს, ქართული ლიტერატურის ისტორიაში მნელად თუ მოძებნება მეორე ასეთი ნათარგმნი თხზუ-ლება, რომელიც მხატვრულად ესოდენ სრულყოფილი იყოს და თა-ნაც ასე ახლოს იდგას ორიგინალთან, შენარჩუნებული პერნდეს სპარსული ენის ბუნება. შესაძლოა, სწორედ იმისათვის, რომ სპა-რსული ტექსტი სრულად ყოფილიყო გადმოცემული და არ შედასუ-ლიყო ენის ბუნება, მთარგმნელმა პროზაული ფორმა აირჩია და ბრწყინვალედ გაართვა თავი ამოცანას.

XI—XIII ს. განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია ლირი-კულტურა პოეზიამ, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სახოტბო რდებს. ამ ნაწარმოებების ავტორები კარის პოეტები არიან. საკარო პოეზიის ტრადიცია უძველესი დროიდან მომდინარეობს და განვითა-რების მწვერვალს საქართველოში XII საუკუნეში აღწევს. კარის პო-ეტების თხზულებები პანეგირისტული პოეზიის ნიმუშებია.

XII ს. სახოტბო პოეზიიდან მხოლოდ ორი ძეგლი შემოინახა: ჩახრუხაძის „თამარიანი“ და იოანე შავთელის „აბდულმესიანი“, ანუ ქება თამარისა და დავითისა.

„თამარიანის“ ავტორი — ჩახრუხაძე — სამეფო კართან დაახლო-ებული პირია. მას კარგად სცოდნია ქართული ფილოსოფიურ-თეო-ლოგიური მწერლობაცა და აღმოსავლური სამიჯნურო რომანებიც. „თამარიანის“ სახოტბო რდები 1184—1207 წწ. უნდა იყოს დაწე-რილი. თხზულება ძირითადად თამარს ეძღვნება, მაგრამ მასში ხო-ტბაშეს სხვულია აგრეთვე დავით სოსლანი და გოორგი ლაშა. ჩახრუხა-ძე უბადლო პოეტია, ლექსტიწყობა, მუსიკალური რითმები მდიდარია და მშენებირი. იგი ისსენიებს მრავალი თხზულების სხვადასხვა გმირს, რომელთა შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, რადგან ეს ნაწა-რმოებები დაკარგულია. ეს ართულებს „თამარიანის“ ზოგიერთი ად-გილის გაგებას. როგორც 6. მარი აღნიშნავდა, „მარტო ის გარემოე-ბაც, რომ ქართველ იმდროინდელ საზოგადოებას ჩახრუხაძის თხზუ-ლებების გაგება და დაფასება შეეძლო, უტყუარის მჭევრმეტყველე-ბით ატრიცებს, რამდენად ღრმად განათლებული და უაღრესად გა-ნვითარებული ყოფილა იგი“.

სამეფო კარის პოეტია იოანე შავთელიც — ქართული საისტო-რიო ტრადიციით, „კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გა-მომტქმელი და მოღუაწებათა შინა განთქმული“, „მოშაპირე ფილო-სოფოსი“, „მოძღვრებითა ბრწყინვალე“. მისი საქმიანობა დაკავში-რებული ყოფილა გელათისა და ვარძის სამწერლო ცენტრებთან. მი-სი ლიტერატურული მეტვიდრეობიდან ჩვენთვის ცნობილია „გალ-ბანი ვარძის ღვთისმშობლისანი“, რამდენიმე საღვთისმეტყველო იამ-ბიკო და „აბდულმესიანი“.

„აბდულმესიანი“ თამარისა და დავით სოსლანის ხოტბაა. მისი მთავარი პერსონაჟია თამარი — „აბდულმესია“, ე. ი. ქრისტეს მო-ნა. იოანე შავთელს აღწერილი აქვს თამარის მეფობის ხანა, სამეფო კარის ცხოვრება, ბასიანის ბრძოლა, ტრაპიზონის დაპყრობის ამბავი.

ბასიანის ომის დროს ითანე თამარის თანმხლები ყოფილა ვარძიასა და ოძრეში. როგორც ფიქრობენ, სწორედ ამ გამარჯვებას მოუძღვნა მან „აბდულმესიანი“. ითანე შავთელის მიერ ვალმოცემული ფაქტების შეჯერება საისტორიო წყაროების ცნობებთან საშუალებას იძლევა. დაზუსტდეს ან დაღინდეს ზოგიერთი ისტორიული მოვლენა.

ქართული პოეზიისა და, საერთოდ, შემოქმედებითი აზროვნების გვირჩევითია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

„რუსთაველი ეკუთვნის ისეთ გენიოსთა რიცხვს, რომლებიც ხდებათ შემდგომი თაობების აზრთა და გონების მფლობელად. ქართული ლიტერატურაში, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის შემდეგ ჰქონდა დაცემისა და აღორძინების პერიოდები, რუსთაველი ნამდვილი კანონმდებელი გახდა, — აღნიშნავდა კ. კეკელიძე. — მისაღმი მოწინება და მისი აცტორიტეტის წინაშე ქედის მოდრეკა იქამდე მიდიოდა, რომ პოეტები და მწერლები თავიანთ ნაწარმოებთა დასაწყისოდა, რომ პოეტები და მწერლები თავიანთ ნაწარმოებთა დასაწყისში შთაგონებისათვის მიმართავდნენ არა მუზებს, არამედ სწორუსოვარი პოეტების სახელს, რომელსაც ეუბნებიან: „აწ, რუსთველო, გეოთხოვები, რომე მომცე ნება თქმისა“. ამავე დროს, მათ არ ავიწყდებათ ერთმანეთს უთხრან: „მელექესნო, ნუ გგონიათ თავი რუსთვლის დასაბარი“. 7

„ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ქართულ ლიტერატურაში დაკანონდა შაირის — რუსთველური ლექსის ფორმა. ამ ფორმით იწერებოდა არა მხოლოდ ორივინალური, არამედ ნათარგმნი თხზულებებიც. მას მიმა-რთავდნენ არა მხოლოდ საერო, არამედ სასულიერო მწერლებიც. ფართოდ გამოიყენებოდა რუსთაველის მოსწრებული გამოთქმები, აფორიზმები და სენტიუნციები. რომ არაფერი ვთქვათ ქართული ლი-ტერატურის ძეგლებში, „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა ეტყობა უცხო თარგმნილ თუ გადმოკეთებულ რომანტიკულ ნაწარმოებებ-საც კი: ხდება მათი გადამუშავება რუსთაველის პოემის საფუძველ-ზე, მათში შეაქვთ ეპიზოდები და ჯეტალები „ვეფხისტყაოსნიდან“.

„ვეუხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა არა მარტო მწიგნობართა წრემ, არამედ ხალხის ფართო ფენაშ. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დაგასტურებულია პოემის ესა თუ ის ხალხური ვარიაცია. რესთაველს ბევრი მიმბაძველი და გმირბელებელი გამოუჩინდა მომ- მდევნო ეპოქის ქართულ ლიტერატურაში.

რუსთაველის პოემის სიუკეტი შთაგონებულია ქართული ისტორი-

ული სინამდვილით. პოემაში გადმოცემულია ცხოვრების ის პი-
რობები და წესები, რომლებიც მაშინდელ საქართველოში არსებობდა,
ასახულია სახელმწიფო ეპიკურიკუ-სამართლებრივი საკითხები, სამეცნ კა-
რის ცხოვრების დეტალები, სამხედრო ხელოვნება და სამსედრო ორ-
განიზაცია და სხვ. „თუმცა იქ დასახელებული არიან არაბები, სპა-
რსები, ინდონი, ხატუალნი, მაგრამ ისინა აზროვნებენ, ცხოვრობენ,
იბრძვიან სრულებითაც არა ისე, როგორც ეს იქნებოდა იმ ქვევნე-
ბში, რომლებიც იქ დასახელებულია; შოთა რუსთაველის გმირებში
ქართველის გული ძეგრს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს სა-
კითხები აღელვებს“ (ივ. ჯავახიშვილი).

რუსთაველის მსოფლმხედველობის საფუძველია პუმანიზმი. მას აინტერესებს ადამიანი, მისი ამქვეყნიური ცხოვრება, ზნეობრივი იდეალები. რუსთაველის გმირები პიროვნულად თავისუფალი არიან, მათ წებელობას არ ზღუდავს ბრძან ბედისწერა.

„ვეფხისტყაოსნობა“ ქართველი ხალხის ცხოვრებასა და მის ის-
ტორიაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. მნელია მოი-
ძებნოს ნაწარმოები, რომელსაც თავისი ხალხის ცხოვრებაში ესოდენ
დიდი როლი შეესრულებათ. ქართველი კაცი მასში პოულობდა
წინაპართა მიერ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე შეძრილ ძვირფას
გამოცდილებას. ნიშანდობლივია „ვეფხისტყაოსნის“ აღმზრდელობითი
მნიშვნელობის შეფასება მისი პირველი დამსტაბებავის, მეფე ვატტანგ
VI მიერ: „რაც ამას დაუწერია, თუ კაი გზით ისწავლი, ერთ ოსტა-
ტად დირს“, — წერდა იგი თავის კომენტარებში. „ვეფხისტყაოსნის“
პირველ გამოცემას ახლავს სტამბის მუშაკის მიქაელის ახეთი მი-
ნაწერი: „უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა გულს უსრულ-
სა.“

„ვეფხისტყაოსანზე“ საუბარი ისევ კ. კეცელიძის სიტყვებით და-
ვასრულოთ: „გააიღლის კიდევ საუკუნეები და ქართული ლიტერატუ-
რის პორჩინონტზე ლამაზ დროშად იფრიალებს რესთაველის სახე-
ლი, რომელიც მუდამ იქნება შეუწელებელი ყურადღებისა და ინტე-
ლექტურის საგანი, რადგან იგი იძლევა უხევსაზღვროს გონიერებისათვის, ლა-
რესის საგანი, განკუთხების გულისათვის, ბრძოლისა და გამარჯვების იმპულსს ნე-
ბაზ განკუთხებს გულისათვის, ბრძოლისა და გამარჯვების იმპულსს ნე-
ბისყოფისათვის, ხოლო მთელი ქართული ლიტერატურისათვის, და
არა მარტო ქართული ლიტერატურისათვის, მაღალმხატვრული შე-
მოქმედების განუმეორებელ ნიმუშს“.

4. ფილოსოფიური აზრი. ჩართული რაოსანის საკითხე

ფილოსოფიურმა აზროვნებამ საქართველოში განვითარების უმაღლეს საფეხურს XI—XII სს. მიაღწია. იგი სავსებით შეესაბამებოდა კულტურის იმდროინდელ აღმავლობას. კულტურის მაღალმა დონემ და იდეურმა ძრებმა, რომელთაც იმყმად პენდა ადგილი, საფუძველი მისცა ივ. ჯავახიშვილს, საქართველოში რენესანსული მოძრაობის დასაწყისი დაწახა, ხოლო შ. ნუცუბიძეს — შეექმნა აღმოსავლური რენესანსის თეორია, რომელშიც საქართველოს ცენტრალური ადგილი უჭირავს.

აღმოსავლური და, კერძოდ, ქართული რენესანსის თეორიას მომხრეც ბევრი გამოუჩინდა და მოწინააღმდეგეც. მის ირგვლივ კამათი დღესაც გრძელდება. მკლევართა ნაწილი რენესანს წმინდა ევროპულ მოვლენად მიიჩნევს და მკაცრ ქრისტიანობიურ ჩარჩოებს (XV—XVI სს.) უწესებს. მეორე ნაწილი აღიარებს აღმოსავლურ, არაეროპულ რენესანსს ან რენესანსებს (ჩინური, სომხური, ქართული) და მათ შორის ქართულ რენესანსს საპატიო ადგილს მიუჩნის.

რენესანსისა (ფრანგ. Renaissance — აღორძინება) და რენესანსული ჰუმანიზმის არსი შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს: მოძრაობა მიწიერი სინამდვილისა და ადამიანის მიწიერი არსებობის ღირებულების უარყოფიდან მათი ღირებულებისა და მნიშვნელობის აღიარებასა და თეორიულ დაუუძრებამდე.

რენესანსი და ჰუმანიზმი წარმოადგენდა, ერთი მხრივ, ანტიკურობის აღორძინებას („რენესანსი“), მეორე მხრივ, ადამიანის ახლობურ, შუა საუკუნეების ასკეტური იდეალისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ გაებას (ჰუმანიზმი).

ანტიკური მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელი იყო მიწიერი სინამდვილის ღირებულების აღიარება და მისადმი დადებითი დამოკიდებულება.

ანტიკურობის მიწურულსა და მონოთეისტური მსოფლმხედველობის გაბატონების შემდეგ იცვლდა დამოკიდებულება ამჟეყნიური სინამდვილისადმი. ბუნება (და ადამიანი) თანდათან კარგავს ღირებულებას. „ზეციური სამყარო“ აღიარებულია უმაღლეს და სრულყოფილ სინამდვილედ, „მიწიერი სამყარო“ კი — მის უბადრუკ ანარეკლად.

რენესანსის ეპოქისათვის დამახასიათებელია კულტურის გამქვეყნიურება. ქართულ კულტურაში ამის ძირითად გამოხატულებად მინეულია საერო მწერლობისა (მხატვრული პროზა, საერო პოეზია, საისტორიო მწერლობა, სამედიცინო თხზულებანი) და საერო ხელოვნების ჩამოყალიბება XI—XIII საუკუნეებში.

ქართული კულტურის ისტორიის წინა პერიოდების განხილვამ დაგვანახა, რომ ძველი ქართული კულტურისათვის არასოდეს ყოფილა უცხო „ამჟეყნიური“ მისწრაფებები და ინტერესები; მათ ყოველთვის დიდი ადგილი ეკავათ კულტურულ შემოქმედებაში, მწერლობაში. რენესანსი წინა ეპოქაში მზადდებოდა, იცვლებოდა მხოლოდ მიწიერისა და ადამიანურის ღირებულების აღარების ხარისხი. „ამჟეყნიური“ მისწრაფებები მკაფიოდ გამოვლინდა X საუკუნეში როგორც მწერლობაში, ასევე ხელოვნებაში. მთელ რიგ ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებში ჩინდება სამიჯნურო მოტივი — თუმცა ზეობრივი გაკიცხეს, მაგრამ მაინც ყურადსაღები ფაქტის სახით. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ აშოტ კურაპალატისა და მონაზონი ქალის სამიჯნურო თავგაადასავალი „გრიგოლ სანდოელის ცხოვრებიდან“. გრიგოლის საყველურზე მონაზონი ქალი პასუხობს: „წმიდაო მამაო, მე თავსა ჩედა ვერ თავის-უფალ ვარ, ვინაითვან გარდარეული სიყვარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა“. ან კიდევ: „ბალავარიანში“ მეფის სიტყვებზე ქალთა შესახებ, რომ ისინი არიან „ეშმაკი, რომელი წარსწყმედი კაცთა“, ჭაბუკი პასუხობს: „არა რაი ვიზილე უშეუნიერეს და უსაწადელეს იმათ ეშმაკთა“.

ადამიანისა და მისი გრძნობებისადმი ინტერესის გაძლიერების თვალსაზრისით, მკვლევართა ყურადღებას განსაკუთრებით იქცეს იშხნის ჯვარცმა 973 წლისა, რომელზეც ქრისტე გამოსახულია დასკული, ჩავარდნილი თვალებით, გადატანილი ტანჯვის კეალით სახეზე. სახარების სიუჟეტის ამგვარი ინტერპრეტაცია უჩვეულო სიახლე იყო: ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპაში XI ს. ბოლომდე გაბატონებული ტრადიციით, ჯვარცმა გამოსახავდა ქრისტეს არა როგორც ტანჯულს, არამედ ტრიუმფატორს, „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრებულების“. ჯვარცმული ქრისტე თვალითა იყო, მის სახეზე არ ჩანდა ტანჯვისა და ტკივილის კვალი. იშხნის ჯვარცმა თამამად არღვევს ამ ტრადიციას. იგივე მეორდება ბრეთის საწინამდვრო ჯვარსა (994—1001 წწ.) და დავით კურაპალატის ჯვარზე, რომელიც ასათ მოქმედის შესრულებულია.

მიწიერისა და ადამიანურისადმი ინტერესი განსაკუთრებით ძლიერდება XI—XII საუკუნეებში. მკვლევართა ნაწილი (შ. ნუცუბიძე, ა. ლოსევი, შ. ხიდაშელი, ი. ბრაგინსკი და სხვ.) მიიჩნევს, რომ იმ დროისათვის უკვე შესაძლებელია ღაპარაკი „ახალ შესედულებათა, იდეათა და განზრახვათა“ ისეთსავე მომძლავრებაზე საქართველოში, როგორც ამას ხედავდა იტალიური რენესანსის ცნობილი მკვლევარი იაკობ ბუკარდტი რენესანსის ეპოქის იტალიის (XV—XVI სს.) გაფლტურაში. ეს გამოიხატება შემდეგით:

ისახება და ვითარდება საისტორიო მწერლობა, ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით. წამოიჭრა ქართველთა წარმომავლობის, ქართული ენის წარმოშობის, კავკასიის სხვა ხალხებთან ქართველთა ნათესაობის და სხვა საკითხები, რაც ინტერესთა მნიშვნელოვან გაფართოებას ცხადყოფს.

სამედიცინო წიგნები („უსწორო კარაბადინი“ — X—XI სს. და „წიგნი სააქიმოე“ — 1208—1211 წწ.), შედგენილი არაბული და ბერძნული წყაროების მიხედვითა და ქართველ მკურნალთა გამოცდილების გათვალისწინებით, მოწმობს ბუნებისა და ადამიანის ქცევას და ცოდნის საგნად.

ფერწერაში (ფრესკულ მხატვრობაში), წმინდანთა და მოწამე ბერ-მონაზონთა გვერდით, შემოდიან საერო ისტორიული პირები — უმთავრესად მეფეები. ამ ხანას განეკუთვნება ფრესკული გამოსახულებანი ბაგრატ III (ბერდაში), ბაგრატ IV (ატენი), გომრგი III და თამარისა (ვარძიასა და ყინწვისში), გომრგი III, თამარის და გიორგი ლაშასი (ბერთუბანისა და ბეთანიაში), რომლებიც არ არიან თავისუფალი შეუსაუკუნეების ტრაფარეტებისაგან, თუმცა თავს იჩენს რეალისტური მიღვომის ელემენტებიც.

ამქვეყნიური სინამდვილისადმი დამოიდებულებაში მომხდარ ცვლილებას კველაზე ნათლად ასახავს პოეზია, კრძოლ, მისი სახოტბო უანრი (ჩახრუხაძე, ოთანე შავთელი).

ადამიანის ახლებური გაგების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროზაულ თხზულებებს: „ამირანდარეჯანიანს“ და „ვისრამიანს“. პირველი მათგანი ფერდალურ-რაინდული ტიპის რომანია, რომელშიც გმირების ფიზიკურ ძალასთან და ვაჟაცობასთან ერთად ხაზგასმულია მათი პირადი კეთილდღეობა და სხვა მორალური თვისებები.

„ვისრამიანში“ ძირითადია ადამიანის სულიერი ცხოვრებისა და სიყვარულის გრძნობის ასახვა. მისი გმირებისათვის სიყვარული წმიერთის მიერ დაწესებული გრძნობაა. ვისი შზადაა, რამინის სიყვარულისათვის ყოველგვარი ტანჯვა აიტანოს: „ჰე, ძლიერო და მაღალო ხელმწიფეო!.. აწ თუ გწადიან ჩამომარჩევ ანუ თუაღნი დამწეული; გწადიან — გამაძე, გწადიან — უკუნისამდე დაჭედილი გყვე... რაცა გწადიან, იგიცა მიყავ, ყველა ხელგეწიფების. ამას ვეღარ უკუნიტყვით: მე რამინ ცასა და ქუეყანისა ყუელასა მირჩევია, და თავსა და სულისა ჩემსა მისსა ჭირსა ვანაცალებ, თუაღნთა სინათლე და გულისა ჩემისა სიხარული იგია... და რა მგამა, თუ ერთი სული შისთუის გავწირო? თუმცა ათასი სული მეღგა, ყუელა მისთვისვე მინდა. მე რამინის სიყუარულსა არ მოკსწყდები, ვიდრე სიცოცხლე არ მომწყდეს“, — ამბობს ვისი. კიდევ უფრო კატეგორიულია ვისის შემდეგი სიტყვები: „და თუ ეგრე მკითხო: სამოთხე გირჩევნია ანუ რამინ, მე, შენმა მზემან, რამინს გამოვირჩევ, ამით რომელ მისი შეხედა სამოთხედ მიჩნს“.

ყოველივე ეს მეტყველებს მნიშვნელოვან მსოფლმხედველობრივ ცვლილებებზე მიწიერის ლირებულების უარყოფიდან მისი აღიარების, ადამიანის ახლებური გაგების მმართოულებით. იქმნება ნიადაგი ანტიკური ტრადიციის აღორძინებისათვის. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ იმ პერიოდის ლიტერატურა სავსეა ანტიკური ავტორებისა და გმირების სახელებით. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო რენესანსი. ადამიანზე წარმოდგენა ჯერ კიდევ მოკლებულობას, რომელიც შეადგენს რენესანსული პუმანიზმის თავისებურებას. აქ ჯერ კიდევ არაა ზეციური და მიწიერი სინამდვილის მასინთხილებელი იდეა.

მკვლევართა ნაწილი, შ. ნუცუბიძის კვალდაკვალ, მიიჩნევს, რომ რენესანსის ფილოსოფიურ საფუძველს დასავლეთშიც და საქართველოშიც ნეოპლატონიზმი წარმოადგენდა. თუ ეს ასეა, საჭიროა მეაფიოდ განისაზღვროს, ჯერ ერთი, რამდენად შეეძლო ნეოპლატონიზმს დაესაბუთებინა ადამიანის მიწიერი არსებობის ლირებულება, და მეორე, რამდენად იყო XI—XIII სს. ქართული ფილოსოფია ნეოპლატონისტური.

მივყვეთ იმ შეხედულების მომხრეთა თვალსაზრისის, რომლებიც ქართული რენესანსის არსებობას აღიარებენ.

რა არის ნეოპლატონიზმი? როგორც თვით სიტყვა გვაწევებს, აյ საქმე უნდა გვქონდეს პლატონიზმის რაღაც სახესთან, მის აღორძინებასთან. პლატონიზმი, ზოგადად, არის მოძღვრება იდეათა შესახებ. იდეა არის ის, რაც წარმოადგენს მოცემული საგანი; იდეა საგნისა არის ის, რაც შეიძლება ითქვას მოცემულ საგანზე. იდეა არის პასუხი კითხვაზე: რას წარმოადგენს მოცემული საგანი? საკიროა აისწნას იდეის მიმართება საგნებისადმი, მატერიისადმი. ნეოპლატონიზმა ააღორძინა პლატონის მოძღვრება იდეათა შესახებ, ამავე დროს, კი არ გაიმეორა იგი, არამედ ახლებურად გაიაზრა კოდეც ნეოპლატონიზმი ორი ეპოქის მიჯნაზე ჩამოყალიბდა. ანტიკურობის დასასრულსა და შეა საუკუნეებად წოდებული ეპოქის დამდეგს — III—IV სს. ანტიკური კულტურა დაქვეითების გზას ადგა. უკვე შემუშავებული იყო ნეოპლატონისტური რელიგიის მსოფლმხედველობრივი იდეები. ნეოპლატონიზმი ანტიკური, ბერძნული ფილოსოფიის უკანასკნელი მნიშვნელოვანი მოძღვრებაა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა შეა საუკუნეების აზროვნებაზე. მისი წარმომადგენლები საკუთარ თავს პლატონიკოსებს უწოდებდნენ. მათი მოძღვრება მართლაც შეიცავს პლატონის შეხედულებებს, მაგრამ სავსებით თავისთავადი სისტემის სახით ყალიბდება.

ნეოპლატონიზმის ფუძემდებელია პლოტინი (205—270 წწ.), ხოლო მისი დამამთავრებელი და სისტემატიზატორი — პროკლე (210—285 წწ.). სანამ დასავლეთ ევროპისათვის ცნობილი გახდებოდა ანტიკური ნეოპლატონიზმი, ნეოპლატონისტური იდეები გავლენას არეობავიტული მოძღვრების საშუალებით ახდენდა, რომელიც ნეოპლატონიზმის გავლენით ჩამოყალიბებული პირველი მნიშვნელოვანი მოძღვრება იყო.

ფსევდო-დიონისეს სახელი საქართველოში ბევრად ადრე იყო ცნობილი, ვიდრე მისი თხზულებები ქართულად ითარგმნებოდა. XI ს. მეორე ნახევარში ეჭრემ მცირემ მთლიანად თარგმნა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიის მიხედვით, იგივე პეტრე იბერის) შრომები, ე.წ. არეოპაგიტული კორპუსი, აგრეთვე იოანე დამასკელის „ცოდნის წყარო“, რომელიც არ ეკუთვნის მთლიანად ნეოპლატონიზმს, მაგრამ შეიცავს ამ მოძღვრების მნიშვნელოვან იდეებს. მალე ამის შემდეგ იოანე პეტრი იმართება „კავშირი თხზულება“ „კავშირი და მეტყველებითნი“. სხვათა შორის, ამ თხზულების ქართული თარგმა-ბროლეს მთავარი ფილოსოფიური თხზულება „კავშირი და მეტყველებითნი“. სხვათა შორის, ამ თხზულების ქართული თარგმა-

ნი უძველესია სხვა ენებზე თარგმნილთა და ჩვენამდე მოღწეულთა შორის. ამავე პერიოდში ითარგმნა ქართულად ცნობილი ნეოპლატონიკოსების ნემესიოს ემესელის (იოანე პეტრი იმანი) და პერმიასის (პროკლეს მოწაფე; იოანე ტარიშვილის თარგმანი) თხზულებანი.

მონოთეიზმს სამყაროს წარმოშობა წარმოუდგენია როგორც დმერთის მიერ მისი არარასგან შექმნის შედევი (კრეაციონიზმი), რის გამო მონოთეიზმი არსებითად რჩება დუალისტურ მოძღვრებად და კერ ახერხებს ზეციური და მიწიერი სამყაროს გაერთიანებასა და დაკავშირებას. ნეოპლატონიზმი, ანტიკური ტრადიციიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც არარასგან არაფერი არ შეიძლება წარმოქმნას, ყალბიბებს მოძღვრებას სამყაროს ღმერთისაგან ემანაციის (გამომდინარეობის) შესახებ და, ამდენად, ასაბუთებს მიწიერი სამყაროს აუცილებლობის, მისი მარადიულობისა და ღვთაებრიობის იდეას.

არეოპაგიტული მოძღვრება წარმოადგენდა ნეოპლატონიზმის (უმთავრესად პროკლეს) ქრისტიანულ გადამუშავებას. იგი გზას უსწნიდა ანტიკურ ფილოსოფიას ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში. არეოპაგიტული მოძღვრების ამოსავალი ღმერთის ცნებაა, როგორც აბსოლუტურად სრულყოფილი და ყოველივეზე ზეაღმატებული საწყისია. ნეოპლატონიზმის გავლენით, არეოპაგიტული მოძღვრების მცდელობა მიმართულია სრულყოფილი საწყისის არასრულყოფილ, ნაკლოვან სამყაროსთან დაკავშირებისა და მათი ერთიანობის საფუძვლის ძიებისაკენ. პირველმისამართ (ღმერთისაგან) შედეგის (სამყაროს) გამომდინარეობა სრულყოფილების ისეთსავე კლებას წარმოადგენს, როგორც სინათლის სხივის შესუსტება. ამიტომ არსი (არსებულის სფერო) წარმოადგენს იერარქიულად (რანგობრივად) განლაგებულ საფეხურთა ერთიანობას, რომლის დაბალ საფეხურსაც ხილული სამყარო ქმნის. მაგრამ სამყარო ერთიანობაშია პირველსაწყისთან, მასში მოქმედებს ღმერთიდან გამომდინარე სინათლის სისკონი და არაფერია სამყაროში ისეთი, რასაც ამ სხივის მიღება არ შეეძლოს. როგორც ხილული მზე თავისი ბუნებით, თავისი არსებით ანათებს ყოველივეს, — წერს ფსევდო-დიონისე, — ასევე ღმერთი (როგორც უმაღლესი სიკეთე) თავისი ბუნებით განფენს შარავანდელს სამყაროზე, აძლევს მას არსებობას და სიკეთეს.

ღმერთის „სახელთა“ შორის უმაღლესი და უპირველესი, რომელიც ყველაზე მეტად უახლოვდება მის არსებას, სიკეთეა. საწყისი თავის-თავად სიკეთეა და მისგან მხოლოდ სიკეთე მომდინარეობს. ამიტომ ნამდვილი, სუბსტანციური არსებობა მხოლოდ სიკეთეს აქვს და ბოროტება მხოლოდ არარა („არა არს არს“). ის, რასაც ადამიანი ბოროტებას უწოდებს, სინამდვილეში მხოლოდ სიკეთის კლებას, სიკე-თისაგან დაცილებას წარმოადგენს. ყველაზე ბოროტად ის გვეჩერება, რაც სიკეთისაგან ყველაზე მეტადაა დაცილებული და რაშიც სი-კეთე ყველაზე ნაკლებადაა.

ეს შესეღულება „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი იდეის — ბორო-ტებაზე სიკეთის გამარჯვების იდეის საფუძვლად იქცევა: „ბოროტება სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ამ შესეღულების წყარო პოემაში პირდაპირაა დასახელებული „ბრძნი დივნოსის“ (დიონისე არეობაგელის) სახით.

მას შემდეგ, რაც შევეცადეთ წარმოგვეღინა, თუ როგორ წყვეტის ნეოპლატონიზმი და არეობაგიტიკა ზეციური და მიწიერი სამყაროს მიმართების საკითხს, როგორ ასაბუთებს მიწიერი არსებობის ღირებულებას, ვცადოთ პასუხის გაცემა ზემოთ დასმულ კითხვაზე: იყო თუ არა XI—XIII სს. ქართული ფილოსოფია ნეოპლატონისტური?

აღნიშვნული პერიოდის ქართული ფილოსოფიური აზრის პირ-ველი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ეფრემ მცირე, რომლის და-მასახურებაზე ქართული კულტურის წინაშე ნაწილობრივ უკვე ვისა-უბრეთ. მისი ფილოსოფიური მოღვაწეობა შუა საუკუნეების ორი დიდი მოაზროვნის — ფსევდო-დიონისე არეობაგელისა და იოანე და-მასკელის მოძღვრების ქართულ სინამდვილეში შემოტანითა გან-საზღვრული. დიდია მისი დამსახურება ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგის შემუშავების საქმეში. ამ ტერმინების დიდმა ნაწილმა დღემდე შეინარჩუნა მნიშვნელობა (მაგ., არსებად, რაოდენობად, რომელიბადა, ხედვად, ზოგადი, საყოველთაოდ, გრძნობად და სხვ.). ეფრემ მცირეს შემდეგ ქართული ფილოსოფიური აზრი ორი მიმარ-თულებით ვითარდებოდა: ნეოპლატონიზმისა და არისტოტელიზმის. პირველი მიმართულების წარმომადგენელია იოანე პეტრიწი, მეორი-სა — არსენ იყალთოელი.

შეა საუკუნეების ქართველ ფილოსოფოსთა შორის ყველაზე სა-ყურადღებო ფიგურაა იოანე პეტრიწი, რომლის ფილოსოფიური მსო-ფლმხედველობა პროკლეს მოძღვრების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

მისი ფილოსოფიური თხზულება „განმარტებად პროკლესათვს დია-დოსის და პლატონურისა ფილოსოფიისათვს“ დაწერილია პროკ-ლეს „თეოლოგიის ელემენტების“ („კავშირი ღვთისმეტყველებითია“) ვრცელი კომენტარების სახით. თხზულება შედგება შესავლის, საკუ-თრივ კომენტარებისა და ბოლოსიტყვაობისაგან.

იოანე პეტრიწმა განათლება კონსტანტინოპოლიში მანგანის აკა-დემიაში მიიღო. აქვე დაუახლოვდა აკადემიის პროფესორს იოანე იტა-ლოსს, რომელიც ერთ-ერთ ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტში მას მეგობრად და „უსწავლელეს“ პირვენებად იხსენიებს. მაღვე იოანე პეტრიწი აქტიური მონაწილე გახდა იმ საზროვნო მოძრაობისა, რომელსაც იოანე იტალიის მეთაურობდა. 1083 წ. იოანე იტალიი გაასამართლებს იმის გამო, რომ იგი „ანათემას მიცემულ“ შეხედუ-ლებებს ქადაგებდა. იგი აღიარებდა, კერძოდ, ელინურ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც „ყოველივე წარმოიშვა და გაფორმდა არა არასისაგან“, რაც ეწინააღმდეგებოდა ოფიციალურ რელიგიურ თვალსაზრისს.

იტალიის გასამართლების შემდეგ დაიწყო მისი მიმდევრების სასტიკი დევნა. იოანე პეტრიწი იძელებული გახდა კონსტანტინო-პოლი მიეტოვებინა. მისი მოღვაწეობის შემდევი წლები ბულგარეთს — პეტრიწონსა — და გელათის უკავშირდება.

იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ ნაზრებში ნეოპლატონიზმი ბევ-რად უფრო მკვეთრადაა წარმოდგენილი, ვიდრე არეობაგიტულ მოძ-ლვებებაში. მასთან უფრო თანამმდევრული ხასიათი მიიღო იდეებმა, რომელთაც დასაბამი არეობაგიტულმა მოღვრებამ მისცა. პეტრი-წის ფილოსოფიური სამყარო განსაზღვრულია ანტიკური კულტურით, მითოლოგიით და ფილოსოფიით. მისთვის დამახასიათებელია სამყა-როს ღმერთიდან გამომდინარეობის, სამყაროს წარმოქმნის აუცილებ-ლობისა და მარადიულობის იდეა.

არსენ იყალთოელი იოანე პეტრიწის თანამედროვე, ეფრემ მცი-რეს მოწაფე იყო. მისი ფილოსოფიური და თეოლოგიური შესეღულე-ბები ყველაზე ვრცლად წარმოდგენილია მის უმთავრეს ნაშრომ-ში „დოგმატიკონი“. მასში შესულია ბევრი პოლემიკური თხზულება, მიშართული ებრაული და მაპმადიანური რელიგიის, აგრეთვე ქრის-ტიანობის შიგნით არსებულ მწვალებლურ (ერეტიკულ) მიმართულე-ბათა წინააღმდეგ. ნაშრომის ძირითადი მიზანი იყო ორთოდოქსული

(ქალკედონიტური) მიმდინარეობის დაცვა. არსენი არ იშიარებდა წეოპლატონიკოსთა შეხედულებებს.

როგორც ვხდავთ, ნეოპლატონიზმი XI—XIII სს. ქართული ფალოსოფიური აზრის ერთ-ერთი მიმართულებაა. მიწიერი სინამდვი-ლის დირებულებისა და მისი მნიშვნელობის აღიარება რენესანსის პირობებში ზეციურის მნიშვნელობის უგულებელყოფას კი არ ნიშნავს, არამედ „ორი სოფლის“ (ზეციური და მიწიერი) ერთიანობის აღიარებაა.

ქართული რენესანსის მწვერვალია შოთა რუსთაველი. მისი მსოფლმხედველობა, ოცოლოგიური და ფილოსოფიური შეხედულებანი უდიდესი ინტერესის საგანია. დღეს არავინ დავობს იმაზე, რომ რუსთაველი ჰუმანიზმის აღრინდელი და მნიშვნელოვანი წარმომადგენელია.

„ჰუმანიზმი“ ეტიმოლოგიურად სიტყვა ადამიანისაგან, ადამიანურობისაგან (humanitas) მომდინარეობს. რენესანსული ჰუმანიზმი არ დაიყვანება მხოლოდ ადამიანის ახლებურ გაგებასა და ანტიკურობისაკენ მიბრუნებაზე. ჰუმანიზმი მსოფლმხედველობაა; მისი ძირითადი იდეაა ამქვეყნიური სინამდვილის დირებულებისა და მნიშვნელობის აღიარება. სწორედ ამ იდეითაა განსაზღვრული ადამიანის ახლებური გაგებაცა და ანტიკურობის თავისებური აღორძინებაც.

ზემოთ მოხსენიებული შეხედულების თანახმად, რენესანსული ჰუმანიზმის ფილოსოფიური საფუძველია ნეოპლატონიზმი, რომელიც ამოავსო უფსკრული ზეციურ და მიწიერ სამყაროს შორის.

რუსთაველის ჰუმანიზმი თავისებური დამთავრებაა ქართული ქრისტიანული კულტურის „გაამქვეყნიურებისა“, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ვითარდებოდა, XI—XII საუკუნეებში კი შეიქნა საკმარისი პირობები იმისათვის, რომ ეს სანგრძლივი და თანდათანობითი პროცესი ჰუმანიზმში გადატანდილიყო.

რუსთაველის მსოფლმხედველობაზე მსჯელობისას შ. ნუცებიძე აღნიშნავდა: „რუსთაველი არსად არ უშვებს კავშირის გაწყვეტას ზეცისა, როგორც ამაღლებულის, ბედნიერებისა და სიყვარულის სიმბოლოს, და მიწას, როგორც რეალური, „ხორციელი“ ადამიანისათვის რეალურ ქვეყანაზე ამ ბედნიერების, სიყვარულისა და ნეტარების სიმბოლოს, შორის. ამ სინთეზში, ამ ერთიანობაშია რუსთაველის მიერ ამ-ქვეყნიურ სიკეთეთა პოეტური ხორციელების სიდიადე“.

ცხადია, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ რუსთაველი, უპირველეს ყოვლისა, პოეტია. მისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულებაა, ასახვის საშუალებები — მხატვრული სახეებია. მაგრამ, ამავე დროს, „ვეფხისტყაოსანი“ საყურადღებოა როგორც სინთეზი მხატვრული და ფილოსოფიური რადგებობის მხატვრული და ფილოსოფიური მიწიერები მოიყითხება არა მარტო მთაზროვნებისა. რუსთაველის იდეები ამოიკითხება არა მარტო მთლიანად პოემაში, არამედ მასში უხვად გაბნეულ ფილოსოფიურ-პოეტურ აფორიზმებში. მეცნიერები მიუთითებენ რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებების ნეოპლატონურ და არეოპაგიტურ საწყისებზე. †

დმიტრი რუსთაველისათვის უმაღლესი სრულყოფილებაა, მაგრამ, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, დანტესაგან განსხვავებით, რომელიც თავისი იდეალის განხორციელებას მაინც „ზებუნებრივ სამყაროში“ ფიქრობს, რუსთაველს სინათლე მიწაზე მოაქვს, იპრევის ამ კინათლის ზეიმისათვის მიწიერ ცხოვრებაში“.

ასეთია ქართული რენესანსის კონცეფცია. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ოვალსაზრისს ქართული რენესანსის შესახებ ბევრი არ ვე ვთქვით, რენესანსი ანტიკურობის აღორძინებას გულისხმობს, იზიარებს. თუ რენესანსი ლაბარაჟი მნელია, რადგან ქართული მხოლოდ არეოპაგიტული მოძღვრების აღორძინებაზე შეძლება ვიმსჯელოთ, მისი ქართული წარმომავლობა (ფსევდო-დო-დიონისესა და პეტრე იბერის იგივეობა) კი თავისთავად სადაც საკითხია. სევე საკმარისი ნეოპლატონიზმის აღიარება დასავლური და აღმოსავლური რენესანსის ფილოსოფიურ საუკუნელად, ესეც და რომ არ იყოს, XI—XII სს. ქართველ ფილოსოფოსთა შორის ნეოპლატონისი მხოლოდ იოანე პეტრიწი ჩანს. ამ პერიოდში ვერც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აღმავლობას ვხედავთ, რაც დამახასიათებელი იყო ევროპული რენესანსისათვის. ეს და კიდევ ზოგიერთი სხვა მომენტი მკვლევართა ნაწილს აფიქრებინებს, რომ უკრო სწორი იქნებოდა ლაპარაჟი არა ქართულ რენესანსზე, არამედ უკრო იქნებოდა ლაპარაჟი არა ქართულ რენესანსზე, არამედ XI—XIII საუკუნეებში, და თუ ტერმინს „რენესანსი“ მაინც გამოვიყენებთ, მხოლოდ კულტურის (და არა ანტიკურობის) აღორძინების მნიშვნელობით.

XI—XII სს. საქართველოში სამართლებრივი კულტურის დონის წარმოსაგენად განსაკუთრებით საყურადღებოა ექვთიმე მთაწმინდელის მიერ „მცირე სჯულის კანონის“ თარგმნა XI ს. დამდეგს. ესაა საეკლესიო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთგვარი ენციკლოპედია, რომელიც ექვთიმემ ქართულ ნიადაგზე გადაამუშავა და შექმნა მისი სრულიად ახალი, ქართული რედაქცია, რომელშიც აისახა როგორც ბიზანტიური, ისე იმდონის დელიქტი ქართული საეკლესიო სამართლებრივი კულტურა. ამ შემდგენლობის სხვა კრებულს არ იცნობს არც ბიზანტიური, არც ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების საეკლესიო სამართლის ისტორია. ამდენად, იგი წმინდა ქართული მოვლენაა.

კრებულს ერთვის თვით ექვთიმე მთაწმინდელის ზოგადი მოძღვრება ბოროტმოქმედების შესახებ. მასში განმარტებულია ზოგიერთი იურიდიული ცნება, მოცემულია მკვლელობის სხვადასხვა სახეობის კვალიფიკაცია.

ამ დროისათვის ქართულ სამართლს უკვე დიდი ხნის შეთვისებული პქნდა, „ბრალის“ ცნება. უფრო მეტიც, — იგი ერთმანეთისაგან განასხვავებდა ბრალის სხვადასხვა ფორმას. ექვთიმე მთაწმინდელი ბრალის ფორმებიდან განარჩევს განზრახვას, გაუფრთხილებელ მოქმედებას და შემთხვევას.

საინტერესო ისიც, რომ ექვთიმე მთაწმინდელი იძლევა გაუფრთხილებლობის ცნების დიფერენციაციასაც და გამოყოფს მის ისეთ სახეს, რომელიც „მაჭლობელ არს ნებითა კაცთა კლვასა“.

ცხადი ხდება, რომ ქართულ სამართალში ბრალის ფორმების დამუშავების საკითხი ბიზანტიური სამართლის დონეზე იღვა.

განვითარების მაღალი საფეხურისთვის მოუწევია პროცესუალურ სამართლაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ბაგრატ IV ცნობილი ობიზის სიგელი. მასში აღწერილია სასამართლო პროცესი, რომელიც ორ მონასტერს (ობიზისა და მიჯნამორის) შორის მამულებისათვის დავის გამო გამართულა. სასამართლო პროცესის თვით მეუე ხელმძღვანელობდა. როგორც მეუე სიგელში მოგვითხოვთ, სასამართლო პროცესამდე მას წინასწარ მიუღავ მხარეები, მოუსმენა მათვების და გასცნობია მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს (მიჯნამორელთ წარმოუდგენიათ ერთსთავთერისთავ გურგენის, მეფე გურგენის, მისი შვილის ბაგრატ III და ამ უკანა-

სქელის ბის გიორგი I სიგელები, ოპიზარი კი — გუარამ მამთალის მიერ ობიზის მონასტრისათვის ბოძებული სიგელი). ამის შემდეგ მას მოუწევია „მცირე სჯულის კანონი“ და სასამართლოს სხდომა დაუნიშნავს. სხდომის დროს კითხვლობენ ორივე მხარის მიერ წარმოდგენილ ყველა საბუთს („წავითხენით მათნიცა და მათნიცა დაწერილინი“), ისმენენ მხარეთა ასსნა-განმარტებას, მათ პაექრობას („რომელი სიტყუის-გება- იყო მათ შორის, მოვისმინეთ“) და მხოლოდ შემდეგ აფასებენ დამატებულებელ საბუთებს.

ამ შემთხვევაში ძირითადი დამატებულებელი საბუთი სიგელები იყო. სასამართლოს შეფასებით, მიჯნამორელთა სიგელები უფრო დამაჯერებელი იყო როგორც სიმრავლით, ისე სიმტკიცით („... სამართლიად ესე გავიგონეთ, რომელ კელნი ამათნი მრავალი და მტკიცენი იყუნეს“).

აქ ყურადღებს იქცევს რამდენიმე გარემოება:

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში, რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოებში, სხვა საშუალებებით დაუდგენელი ბრალების დროს, დამატებულებელ საბუთად ითვლებოდა ორდალიები — შანთითა და მდუღარიო გამოცდა, ორთაბრძოლა — სასამართლო დუელი. XI—XII სს. საქართველოში მტკიცებათა ასეთი პრიმიტიული სახეები არ უნდა არსებულიყო. უპირატესი ძალის მქონე დამატებულებელ საბუთად აქ წერილობითი მტკიცებულებანი ჩანს.

როგორც ვთქვით, სასამართლო პროცესზე მეუემ მიიწვია „მცირნიერი საბჭოთა საქმეთანი“ — სამართლის სწავლულები. ცხადია, ეს ის პირნი იყვნენ, ვისაც სათანადო ცოდნა და განათლება გააჩნდა. როგორც ჩანს, მაშინდელ სასწავლო დაწესებულებებში, სხვა საგნებთან ერთად, სამართალსაც ასწავლიდნენ.

ეს ყოველივე მიგვითოთებს იმდროინდელი ქართული სამართლებრივი კულტურის მაღალ დონეზე.

აღსანიშნავია, რომ თამარის ეპოქაში ადგილი პქნდა სიკვდილით დასჯისა და დამასახიჩებელი სასჯელების გაუქმების ცდას.

6. სუროთმორდვრიანი და სალომება.

XI—XIII საუკუნეებში ქართული ხუროთმოძღვრება და ხელოვნება განვითარების მწვერვალს აღწევს. ამ პერიოდს განეკუთვნება საერო და საეკლესიო არქიტექტურის, კედლისა და წიგნის მხატვ-